მომსახურების პირობები დაკავშირებული სერვისების და აპლიკაციების გამოყენებისთვის

ძალაშია 2026 წლის ივნისიდან

მომსახურების ეს პირობები (შემდგომში „პირობები“ ან „გამოყენების პირობები“) არეგულირებს ზოგად წესებს და პირობებს პროდუქტებისა და სერვისებისთვის kia connect gmbh-ის ციფრულ გარემოში (შემდგომში „პროდუქტები და სერვისები“), რომელიც რეგისტრირებულია ნომრით hrb112541, იურიდიული მისამართი: theodor-heuss-allee 11, 60486 frankfurt am main, germany (შემდგომში „kia connect“ ან „ჩვენ“), იმის შესაბამისად, თუ რომელ კონკრეტულ პროდუქტებს და სერვისებს იყენებთ. ჩვენი საერთო უფლებები და ვალდებულებები შესაბამისი პროდუქტებისა და სერვისების შესახებ, ასევე სხვა სასარგებლო ინფორმაცია ჩვენს ურთიერთობაზე თქვენთან, როგორც მომხმარებელთან ან იურიდიულ პირთან (შემდგომში „თქვენ“), მოცემულია ქვემოთ. თუ მომხმარებელი ხართ, შესაძლოა, გავრცელდეს მომხმარებლის სპეციალური უფლებები.

გაითვალისწინეთ, რომ გამოყენების ეს პირობები შესაძლოა განსხვავდებოდეს თქვენი საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ პუნქტი 13.

ჩვენი პროდუქტებისა და სერვისების გამოყენებისთვის, შესაძლოა საჭირო იყოს ინტერნეტზე წვდომა, ან სხვა სატელეკომუნიკაციო სერვისები. გამოყენების ეს პირობები არ ვრცელდება სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე, რომლებიც შეიძლება ჩვენი სერვისების მისაღებად გახდეს საჭირო. ისინი თქვენს სატელეკომუნიკაციო სერვისების მიმწოდებელთან ცალკე შეთანხმების (მათ შორის, საფასურის) საგანს წარმოადგენს.

kia app-ისა და kia connected სერვისების გამოყენება, ზოგადად, უფასოა („უფასო სერვისები“) სერვისების გააქტიურების დღიდან 7 წლამდე ვადით („უფასო მომსახურების პერიოდი“), თუ ისინი არ არის აღნიშნული, როგორც ფასიანი გამოწერა. ვიტოვებთ უფლებას, ჩვენი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს შევცვალოთ უფასო სერვისი ფასიან და/ან გამოწერაზე დაფუძნებულ სერვისად. ასეთ შემთხვევაში ჩვენ წინასწარ გაცნობებთ შესაბამისი პირობებისა და საფასურის შესახებ. ამის შემდეგ თქვენ გექნებათ უფლება, ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ უფასო სერვისით სარგებლობა, ახალი პირობებისა და საფასურის ძალაში შესვლამდე, ყოველგვარი ხარჯის ან ჯარიმის გარეშე.

თქვენთვის მოწოდებულ კონკრეტულ სერვისებთან დაკავშირებით ჩვენ ვიყენებთ kia connect-ის გამოყენების პირობებს (kia connect-ის იურიდიული დოკუმენტები | kia connect: https://connect.kia.com/eu/kia-connect-legal-document1/, რომელიც ამ დოკუმენტში ჩართულია მასზე მითითების სახით.

ჩვენი პროდუქტებისა და სერვისების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ მოწყობილობებზე, რომლებიც ოპერაციული სისტემის ოფიციალურ, შეუცვლელ ვერსიაზე მუშაობს. ჩვენ არ ვუჭერთ მხარს ე.წ. jailbreak-ით (მოწყობილობაზე შეზღუდვების მოხსნა), root-ით (შენიღბული მავნე პროგრამა) შეცვლილ ან სხვაგვარად მოდიფიცირებულ მოწყობილობებს.

ჩვენი პროდუქტებითა და სერვისებით სარგებლობისთვის თქვენი მოწყობილობა უნდა მუშაობდეს ოპერაციული სისტემის ერთ-ერთ მხარდაჭერილ ვერსიაზე, როგორც აღნიშნულია kia app-ის და app store-ში მოცემული აპლიკაციების შესაბამის აღწერაში. იხილეთ თქვენი მოწყობილობის აპლიკაციების მაღაზიის ჩამონათვალი (app store listing).რათა გაეცნოთ სისტემის მინიმალურ მიმდინარე მოთხოვნებს, რადგან ისინი შესაძლოა პერიოდულად განახლდეს. თავსებადობა არ არის გარანტირებული იმ მოწყობილობებისთვის, რომლებიც მხარდაჭერილისგან განსხვავებული ან მოძველებული ოპერაციული სისტემის ვერსიებზე მუშაობს.

გაითვალისწინეთ, რომ kia connect services-ის ყველა შეთავაზება და განახლება არ არის ხელმისაწვდომი ყველა ქვეყანაში ან რეგიონში. სერვისების ხელმისაწვდომობა შესაძლოა განსხვავდებოდეს ადგილობრივი რეგულაციების, ინფრასტრუქტურისა და სხვა ფაქტორების მიხედვით. ინფორმაცია ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ, თქვენი მიმდინარე მდებარეობის მიხედვით, შეგიძლიათ მიიღოთ kia-ს ადგილობრივი წარმომადგენლისგან ან გაეცნოთ kia connect-ის ოფიციალურ ვებ-გვერდს.

kia-ს ანგარიში

გვსურს შემოგთავაზოთ პროდუქტები და სერვისები იმისათვის, რომ თქვენი kia-ს გამოცდილება მაქსიმალურად უსაფრთხო, მარტივი და სასიამოვნო გავხადოთ. ამ მიზნით, ჩვენ სისტემაში ერთჯერადი შესვლის წესს

ვნერგავთ, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას kia connect-ის და/ან გარე კომპანიების მიერ მოწოდებული სერვისებისთვის (შემდგომში „kia-ს ანგარიში“). ეს სერვისები ონლაინ მომსახურებებს, აპლიკაციებს და სხვა პროგრამულ მომსახურებებს მოიცავს.

kia-ს ანგარიშის გამოყენების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაქვთ, თუ სრულწლოვანი ხართ. ინფორმაცია, რომელსაც kia-ს ანგარიშის შესაქმნელად აწვდით, სწორი უნდა იყოს. kia-ს ანგარიშთან დაკავშირებით შეგროვებული მონაცემები შემდეგს მოიცავს: თქვენი სახელი და გვარი, ელ-ფოსტის მისამართი, დაბადების თარიღი, ტელეფონის ნომერი, პაროლი, გამოყენების ამ პირობებზე თანხმობა, დადასტურების pin კოდი, მანქანის id და აქტივაციის კოდი.

kia-ს ანგარიში არის უნიკალური, პირადი და არაგადაცემადი ანგარიში, რომლის საფუძველზეც kia connect გარკვეულ სერვისებზე წვდომას განიჭებთ. kia-ს ანგარიშის გამოყენება უფასოა.

kia-ს ანგარიში გამოყენების ამ პირობებით დადგენილი სარგებლობის მიზნით იქმნება. თუ kia-ს ანგარიშთან დაკავშირებით, თქვენთან კომუნიკაცია დაგვჭირდება, ჩვენ შეგვიძლია, kia-ს ანგარიშის რეგისტრაციისას მითითებულ ელ-ფოსტის მისამართზე დაგიკავშირდეთ.

kia-ს ანგარიში აუცილებელი წინაპირობაა kia app-ის და kia connect აპის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის.

პროდუქტები და სერვისები

kia connect პროდუქტებს და სერვისებს, თქვენი მობილური მოწყობილობისთვის შემუშავებული აპლიკაციის მეშვეობით, ასევე ავტომობილის სერვისებს, თქვენი ავტომობილის მთავარი მოწყობილობის საშუალებით გაწვდით.

პროდუქტების და სერვისების მიმოხილვა, რომლებსაც kia connect თქვენი ავტომობილის მთავარ მოწყობილობასთან დაკავშირებით, მობილური აპლიკაციის მეშვეობით გთავაზობთ, შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://eu-connect.kia.com/eu/kia-connect-legal-document1/#396_1

თქვენ შეგიძლიათ პროდუქტებით და სერვისებით kia connect აპლიკაციის და/ან მთავარი მოწყობილობის მეშვეობით ისარგებლოთ, სერვისების შესაბამისად:

kia app

kia connect-ის გამოყენების პირობების 4.2 პუნქტში ჩამოთვლილი სერვისების („kia app services“) გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ kia app-თან და kia connect app-თან („kia app“) ერთად. kia app სერვისების გამოყენებისთვის საჭიროა kia account-ის ქონა, ასევე შესაძლოა დაგჭირდეთ kia app-ის ერთ ან რამდენიმე kia-ს ავტომობილთან დაკავშირება. მთავარი მოწყობილობის მეშვეობით სერვისების გამოყენებისთვის რეგისტრაცია და kia account-ის ქონა აუცილებელი არ არის.

kia app-ში „ავტომობილის გაზიარების მოთხოვნის“ ფუნქციის მეშვეობით შეგიძლიათ, სხვა მომხმარებლებს გაუზიაროთ ცალკეული kia app სერვისები. გაზიარების შემდეგ სხვა მომხმარებლებს ექნებათ წვდომა გარკვეულ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება თქვენს ავტომობილს, დამუხტვას, ტექნიკურ მომსახურებას, ასევე kia app-ში თქვენი ავტომობილის სტატუსთან დაკავშირებით დამუშავებულ სხვა ინფორმაციაზე. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ kia app-ის ამ სერვისის გამოყენებისას თქვენ სხვა მომხმარებლებს უზიარებთ თქვენს kia app ანგარიშში შენახულ პერსონალურ მონაცემებს. ამ ფუნქციის გამორთვა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ kia app-ის შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ.

kia app b2b რეჟიმი (კომერციული მომხმარებლებისა და პარკებისთვის 5-მდე მანქანით)

თუ რეგისტრირებული ხართ, როგორც კომერციული მომხმარებელი, kia app გთავაზობთ კონკრეტულ ფუნქციონალებს იმის მიხედვით, ავტოპარკის მენეჯერი ხართ თუ ავტოპარკის მძღოლი. დეტალებისთვის იხილეთ kia connect-ის გამოყენების პირობები, პუნქტი 4.2.2.

დაკავშირებული მანქანის სერვისები (ccs)

სერვისები ჩამოთვლილია kia connect-ის გამოყენების პირობების 4.2.3 პუნქტში („ავტომობილის შიდა სერვისები“)

პროდუქტებისა და სერვისების გამოყენებისთვის საჭიროა, რომ თქვენი ავტომობილის მთავარი მოწყობილობა თავსებადი იყოს kia app-თან, ანუ ტექნიკურად შეეძლოს kia connect-ის სერვერთან დაკავშირება. ეს დამოკიდებულია თქვენი ავტომობილის მოდელზე, მოდელის წელსა და კომპლექტაციაზე. თქვენი ავტომობილის kia connect-თან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებსაიტზე: https://owners.kia.com/content/owners/en/uvo-availability.htm.

ავტომობილის სისტემის ota განახლებები

ავტომობილის სისტემის ota განახლება საშუალებას იძლევა, ავტომობილის მართვის გარკვეული მოწყობილობების ჩაშენებული პროგრამები, პროგრამული უზრუნველყოფის ახალი ვერსიებით, ან ჩვენი სერვერებიდან განახლებული პარამეტრებით, „over-the-air“ მეთოდის გამოყენებით განაახლოთ.

დამატებითი ინფორმაცია განახლების პროცესის შესახებ და ავტომობილის სისტემის თითოეული ota განახლების შინაარსის დეტალები მოგეწოდებათ თქვენი მთავარი ბლოკის მეშვეობით, განახლების შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების მიზნით (იხილეთ ქვემოთ), kia app-ში შესყიდვის დროს.

იმისათვის, რომ ავტომობილის სისტემის ota განახლებების მიღება შეძლოთ, კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ავტომობილის სისტემის ota განახლების ფუნქციურობას უზრუნველყოფს, დაინსტალირებული უნდა იყოს kia-ს ავტომობილში. თქვენი ავტომობილის მოდელის, გამოშვების წლის და კომპლექტაციის მიხედვით, ავტომობილის სისტემის ota განახლება თქვენი ავტომობილისთვის შეიძლება ხელმისაწვდომი არ იყოს. kia არ იძლევა გარანტიას, რომ ავტომობილის სისტემის ota განახლების პროგრამული უზრუნველყოფის ვერსია თქვენი ავტომობილისთვის ხელმისაწვდომი იქნება. შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით kia connect-ის გამოყენების პირობების 2 პუნქტში მითითებული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით.

ota-ს საშუალებით განახლებების ინსტალაციისთვის kia-მ ჩამოსატვირთად ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ავტომობილის სისტემის ota განახლება, რომელიც თავსებადი იქნება თქვენს ავტომობილში ინსტალაციისთვის. ავტომობილის სისტემის ზოგიერთი ota განახლება შეიძლება ითვალისწინებდეს დამატებით ფუნქციებს თქვენს ავტომობილში გამოყენებისთვის. ასეთი დამატებითი ფუნქციები („განახლებები“) შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს kia-ს მიერ kia app-ის მეშვეობით შესაძენად. ასეთ შემთხვევაში ავტომობილის სისტემის შესაბამისი ota განახლების ინსტალაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ kia-სთან შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმების და შესყიდვის ფასის გადახდის შემდეგ. განახლებებისა და მათი შესყიდვის შესახებ დეტალებისთვის იხილეთ შემდეგი სექცია.

სერვისების გამორთვა შეგიძლიათ (i) სერვისების დეაქტივაციის გზით თქვენს მთავარ ბლოკსი ან/და (ii) kia app-ში სერვისების ან/და რუკების და საინფორმაციო-გასართობი სისტემის ota განახლებების დეაქტივაციით.

განახლებები

ჩვენ შესაძლოა შემოგთავაზოთ kia app-ის მეშვეობით გარკვეული დამატებითი „განახლებების“ შეძენა, როგორიცაა თქვენი ავტომობილის გარკვეული ფუნქციები, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, პროგრამული უზრუნველყოფის დამატებითი მოდულები (add-ons). ხელმისაწვდომი განახლებების აღწერა მოცემულია kia connect store-ში.

ცალკეული განახლებების ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია თქვენი მანქანის მოდელზე, სამოდელო წელსა და კომპლექტაციაზე. ზოგადად, „განახლებების“ ფუნქციურობისთვის აუცილებელია, რომ ავტომობილზე შესაძლებელი იყოს ავტომობილის სისტემის ota განახლების მიღება და ინსტალაცია (იხილეთ ზემოთ) და ავტომობილი აღჭურვილი იყოს საინფორმაციო-გასართობი სისტემის უახლესი პროგრამული ვერსიით.

განახლების შეძენის შედეგად, შესაბამისი ავტომობილის ფუნქციურობის და თვისებების მოდიფიცირება ხდება. თუ განახლებას შეიძენთ ავტომობილისთვის, რომელსაც არ ფლობთ (მაგ.: ავტომობილი არის იჯარით აღებული ან დაქირავებული, ან ავტომობილს იზიარებთ მფლობელთან), განახლების შეძენამდე, შესაბამისი ავტომობილის

მოდიფიცირებაზე, ავტომობილის მფლობელის თანხმობა უნდა მიიღოთ. kia არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე დავასა თუ ზიანზე, რაც თქვენ მიერ, მფლობელის თანხმობის გარეშე, ავტომობილისთვის განახლების შეძენის შედეგად წარმოიშვება.

kia connect store

kia connect store განკუთვნილია ექსკლუზიურად კერძო პირი საბოლოო მომხმარებლებისთვის. კომერციულ ან ინდივიდუალურ მეწარმეებზე გაყიდვები არ ხორციელდება.

შეგიძლიათ, აირჩიოთ გარკვეული განახლებები და სხვა დამატებითი მოდულები თქვენი ავტომობილის პროგრამული უზრუნველყოფისთვის, რომლებიც ხელმისაწვდომია kia app-ის მაღაზიის სექციაში. kia app-ში განახლების ან სხვა დამატებითი მოდულის შეკვეთის გაგზავნით kia-ს წარუდგენთ შესაბამისი განახლების ან დამატებითი მოდულის შესყიდვის შესახებ შეთავაზებას. kia ადასტურებს შეკვეთის მიღებას თქვენთვის გამოგზავნილი ავტომატური ელ-ფოსტით (შეკვეთის დადასტურება). შეკვეთის დადასტურება არ გულისხმობს თქვენს შეკვეთაზე დათანხმებას, არამედ მხოლოდ ადასტურებს kia-ს მიერ შეკვეთის მიღებასა და მის შემდგომ დამუშავებას.

kia-სა და თქვენ შორის ხელშეკრულება ყოველი განახლების შემთხვევაში იდება მას შემდეგ, რაც შეძენილი განახლება გააქტიურდება ავტომობილში, რომლისთვისაც განახლება იქნა შეძენილი. შეძენილი განახლების გააქტიურება ნიშნავს თქვენ მიერ შეთავაზების მიღებას. kia-ს უფლება აქვს, განახორციელოს ნაწილობრივი მიწოდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს უსაფუძვლოდ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაგაყენებთ.

kia connect-ის მიერ შეთავაზებული დამატებითი პროდუქტები და სერვისები

ავტომობილში შეუფერხებელი კავშირის უზრუნველყოფის მიზნით ჩვენ გთავაზობთ სხვადასხვა სერვისებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია თქვენი ავტომობილის kia app-თან ან/და მთავარ ბლოკთან ერთად. დამატებითი პროდუქტებისა და სერვისების გამოყენება შეგიძლიათ kia-ს არსებული ანგარიშით.

ამ დამატებითი პროდუქტებისა და სერვისების გამოყენებისთვის, ცალკეულ წესებსა და პირობებზე თქვენი წინასწარი თანხმობაა საჭირო.

მესამე მხარის სერვისები

ჩვენ შეიძლება მოგაწოდოთ მესამე მხარეების მიერ მოწოდებული სხვა სერვისები ან მოგცეთ მათი გამოყენების საშუალება, რისთვისაც შესაძლოა საჭირო იყოს მათი კონკრეტული წესებისა და პირობების დაცვა და მათი კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება. ასეთ შემთხვევებში თქვენ ვალდებული ხართ, დაიცვათ მესამე მხარის წესები და პირობები. მესამე მხარის სერვისებთან დაკავშირებით, ტექნიკური პრობლემების ან რაიმე გაუმართაობის შემთხვევაში, შეგიძლიათ პირდაპირ დაუკავშირდეთ მესამე მხარის მომსახურების მიმწოდებელს. ციფრული პროდუქტების დეტალური სპეციფიკაციები მოცემულია ვებსაიტზე, აპლიკაციაში, საინფორმაციო-გასართობ სისტემაში, ან სხვა ინტერფეისებში, რომლებიც აღწერილია ქვემოთ. ვინაიდან ამ სერვისებს არ გთავაზობთ ან გაწვდით kia connect, ის ვერ გასცემს რაიმე გარანტიას სერვისის გამოყენებაზე ან მათ უსაფრთხოებაზე. kia app-ის მეშვეობით ხელმისაწვდომია მესამე მხარის შემდეგი სერვისები:

kia charge არის ინფორმაციის მიღების წყარო დასამუხტი სადგურების მოძიების, თქვენი ელექტრომობილის დამუხტვის და ფასების გამჭვირვალობით სარგებლობისთვის ყველასთვის ერთი ფასის წესის შესაბამისად. სერვისი საშუალებას გაძლევთ, მოძებნოთ დასამუხტი პუნქტები ახლომდებარე ადგილებში და დაგეგმოთ მარშრუტები. დასამუხტი პუნქტის მონაცემები დინამიკურად მიეწოდება და ეს სერვისი თავსებადია kia-ს ავტომობილებთან. kia charge-ს გთავაზობთ ჩვენი პარტნიორი კომპანია dcs, რომლის სერვისის დეტალები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://kiacharge.com/web/de/kia-at/terms-and-conditions, თუ ხართ მომხმარებელი. ბიზნეს მომხმარებლებისთვის სერვისს უზრუნველყოფს kia connect.

mykia არის სერვისი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში, მარტივად და შეუფერხებლად დაჯავშნონ ვიზიტი ტექნიკური მომსახურების ცენტრში. kia app-ის მეშვეობით მომხმარებლები მიიღებენ შეტყობინებებს, როდესაც მათ ავტომობილს ესაჭიროება მომსახურება ან განახლება, ხოლო აპის მომხმარებლები შეძლებენ, უახლოეს დილერთან მოთხოვნა მხოლოდ ერთი დაწკაპუნებით გაგზავნონ. ყველა

ავტომობილში წინასწარ არის კონფიგურაცია გაკეთებული ამ სერვისისთვის, შესაბამისად, მისი გამოყენება ძალიან მარტივია. ეს სერვისი ხელმისაწვდომია მხოლოდ შერჩეულ ქვეყნებში.

ზოგადი წესები და პირობები

1. საავტორო უფლება

1.1. პროდუქტებისა და სერვისების მთელი კონტენტი არის Kia-ს, მისი პირდაპირი და არაპირდაპირი შვილობილი კომპანიების, ან აფილირებული კომპანიების (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „Kia ჯგუფი“), ან მისი მესამე მხარის ლიცენზიარების საკუთრება და დაცულია საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონებით, რითაც ყველა საავტორო უფლება დაცულია.

ყველა უფლება, რომელიც უკავშირდება პროდუქტებსა და სერვისებს, ძირითად პროგრამულ უზრუნველყოფას, კონტენტს და მის განლაგებას, kia ჯგუფს და მის ლიცენზარებს ეკუთვნის. ჩვენი წერილობითი თანხმობის გარეშე, თქვენ ამ სერვისების ნებისმიერი ფორმით გაყიდვა, გავრცელება, გამოქვეყნება, მაუწყებლობით გადაცემა, გაგზავნა, ან კომერციული მიზნებისთვის გამოყენება არ შეგიძლიათ.

ჩვენი წინასწარი ნებართვის გარეშე, თქვენ არ შეგიძლიათ, პროდუქტები და სერვისები რაიმე საჯარო ან კომერციული მიზნებისთვის გაამრავლოთ (მთლიანად ან ნაწილობრივ), გადასცეთ (ელექტრონული საშუალებებით ან სხვაგვარად), შეცვალოთ, აჩვენოთ, ხელახლა გაავრცელოთ, ლიცენზიით გასცეთ, დააკავშიროთ, ან სხვაგვარად გამოიყენოთ.

1.2. გამოყენების ამ პირობებში არაფერი უნდა იქნეს გაგებული, როგორც ლიცენზიის, ან უფლების მინიჭება რაიმე სურათის, სასაქონლო ნიშნის, სერვისის აღნიშვნის, ან ლოგოს გამოყენებაზე, რაც Kia ჯგუფის საკუთრებას წარმოადგენს.

kia ჯგუფი მის საკუთრებაში არსებულ ინფორმაციასთან, ან მასალასთან დაკავშირებით, რაც სერვისებს უკავშირდება, ყველა უფლებას იტოვებს და საავტორო უფლებებისა და სასაქონლო ნიშნების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ამ უფლებების სრული მოცულობით აღსრულებას უზრუნველყოფს.

2. მომხმარებლის ვალდებულებები და შეზღუდვები

2.1. ზოგადი ვალდებულებები

პროდუქტების და სერვისების გამოყენებისას, თქვენ ყველა მოქმედი კანონი უნდა დაიცვათ და მესამე მხარის უფლებებს პატივი სცეთ.

2.2. საინფორმაციო ვალდებულებები

4.2 პუნქტის შესაბამისად, თქვენ ვალდებული ხართ, ავტომობილის სხვა მძღოლებს პროდუქტების და სერვისების გააქტიურების და მონაცემთა დამუშავების შესახებ აცნობოთ.

2.3. ვალდებულებები ავტომობილზე საკუთრების უფლების გადაცემის შემთხვევაში

თუ თქვენს ავტომობილს ყიდით, ან მას მესამე მხარეს, სხვაგვარად, განუსაზღვრელი ვადით გადასცემთ, შემდეგი პირობები ვრცელდება:

2.3.1. თქვენ ვალდებული ხართ, შესაბამისი ავტომობილის მთავარ მოწყობილობაში პროდუქტები და სერვისები გამორთოთ და ავტომობილში შენახული მონაცემები წაშალოთ.

ამისთვის გთხოვთ, (1) ავტომობილის მთავარ მოწყობილობაზე „kia connect“-ის ხატულაზე დააწკაპუნოთ, შემდეგ (2) „kia connect-ის პარამეტრები“ აირჩიოთ, შემდეგ (3) ქვემოთ, მარცხნივ

არსებულ მენიუში „kia connect -ის გამორთვის" პარამეტრზე გადახვიდეთ და ბოლოს, (4) ღილაკზე „დეაქტივაცია“ დააწკაპუნოთ. ამის შემდეგ, სისტემა დეაქტივაციის ეტაპზე გადაგიყვანთ და მონაცემების წაშლას შემოგთავაზებთ.

ყურადღება: გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მთავარი მოწყობილობის ქარხნულ პარამეტრებზე დაყენება, kia connect-ის პროდუქტებისა და სერვისების გამორთვას (დეაქტივაციას) არ გამოიწვევს. თქვენ დეაქტივაციის ზემოთ აღწერილ პროცესს უნდა მიჰყვეთ.

ზემოთ აღწერილი დეაქტივაციის შემდეგ, შესაბამისი ავტომობილის პროდუქტები და სერვისები გამოირთვება, მთავარი მოწყობილობის მონაცემები წაიშლება და ავტომობილი თქვენი kia connect-ის აპლიკაციიდან გაითიშება.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენს kia connect-ის აპლიკაციის ანგარიშში, ავტომობილთან დაკავშირებული მონაცემები ასევე წაიშლება, მაგრამ თქვენს ანგარიშში არსებული ნებისმიერი სხვა მონაცემი უცვლელი დარჩება. თუ ასევე kia connect-ის აპლიკაციაში თქვენი ანგარიშის წაშლა გსურთ, გთხოვთ, kia connect-ის აპლიკაციაში ანგარიშის წაშლის წესს მიჰყვეთ.

2.3.2. თქვენ და Kia უფლებამოსილი ხართ, შესაბამის ავტომობილზე პროდუქტებისა და სერვისების გამოყენების შესახებ ხელშეკრულება, 6.4 პუნქტის შესაბამისად შეწყვიტოთ.

2.4. გამოყენების აკრძალვა და სხვა დაუშვებელი ქმედებები

2.4.1. პროდუქტებისა და სერვისების გამოყენება შეგიძლიათ მხოლოდ Kia App-ის სერვისების 4.2 პუნქტში, ასევე Kia Connect-ის გამოყენების პირობებში აღწერილი მიზნებისთვის და დადგენილ ფარგლებში.

2.4.2. პროდუქტებისა და სერვისებისთვის განკუთვნილი, თქვენი ავტორიზაციის მონაცემების გამოყენება, Kia Connect-ის აპლიკაციაში შესასვლელად და მთავარი მოწყობილობის თქვენს Kia Connect-ის აპლიკაციასთან დასაკავშირებლად შეგიძლიათ.

2.4.2.1. თქვენ უფლება არ გაქვთ,

2.4.2.1.1. თქვენი ავტორიზაციის მონაცემები თქვენი ავტომობილის სხვა მომხმარებლებს გაუზიაროთ, ან

2.4.2.1.2. თქვენი ავტორიზაციის მონაცემები ნებისმიერ მესამე მხარეს გაუზიაროთ, როგორიცაა მესამე მხარის აპლიკაციების, ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მიმწოდებლები, ან

2.4.2.1.3. თქვენი ავტორიზაციის მონაცემები პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებთ გამოიყენოთ, რომელიც Kia-ს პროგრამა არ არის, ან

2.4.2.1.4. თქვენი ავტორიზაციის მონაცემები, ნებისმიერი მესამე მხარის სერვისის Kia-ს სისტემებთან დასაკავშირებლად გამოიყენოთ, როგორიცაა Kia Connect-ის სერვერი.

2.4.2.2. ზემოთ აღნიშნული შეზღუდვების დაუცველობამ, შეიძლება შემდეგი გამოიწვიოს, რაზეც Kia პასუხისმგებლობას სრულად იხსნის:

2.4.2.2.1. მთავარი მოწყობილობის მიერ ენერგიის გადაჭარბებული მოხმარება და შესაბამისად, ავტომობილის 12 ვოლტიანი აკუმულატორის დაცლა, რამაც, საბოლოოდ, შეიძლება ხელი შეუშალოს ავტომობილის დაქოქვას, და

2.4.2.2.2. ავტორიზაციის მონაცემების არასათანადოდ გამოყენება მესამე მხარის მიერ, რომლებსაც ეს მონაცემები გადაეცათ.

2.4.2.3. გარდა ამისა, Kia-ს მესამე მხარის მიერ, თქვენი ავტორიზაციის მონაცემების გამოყენებით მიღებულ მონაცემთა (შემდგომი) დამუშავების გაკონტროლება არ შეუძლია.

2.4.3. თქვენ არ შეგიძლიათ თქვენი ავტომობილის იმგვარად მოდიფიცირება (მათ შორის, აპარატურის ან პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილობრივ შეცვლა, ან მესამე მხარის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება), რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სერვისების ფუნქციონირებაზე.

2.4.4. თქვენ შეგიძლიათ, მთავარ მოწყობილობაში ჩაშენებული სიმ-ბარათი მხოლოდ მთავარი მოწყობილობის შიგნით, ან სერვისებზე წვდომისთვის გამოიყენოთ. მთავარი მოწყობილობიდან სიმ-ბარათის, მასზე შენახული ინფორმაციის (მაგ.: ICCID) ამოღება აკრძალულია.

თქვენ სიმ-ბარათი არ უნდა გამოიყენოთ

- ხმოვანი მონაცემების (მათ შორის, voip-ის) გადასაცემად;
- საჯარო მისამართის მქონე დანიშნულების ადგილზე წვდომისთვის (მაგ.: საჯარო ip მისამართი), მათ შორის, პროქსის, პორტალის, ან მარშრუტის გამოყენებით;
- ნებისმიერი გზით, რომელიც გულისხმობს უსაფრთხოების საშუალებებში შეღწევას, მიუხედავად იმისა, სისტემაში შეჭრა მონაცემების დაზიანებას ან დაკარგვას გამოიწვევს თუ არა;
- ნებისმიერი გზით, რომელიც იყენებს სერვისებს ან პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ინტერნეტ სარელეო ჩატთან, ფაილების ერთრანგიან გაზიარებასთან, ბიტ ტორენტთან, ან პროქსი-სერვერის ქსელებთან არის დაკავშირებული;
- ნებისმიერი გზით, რომელიც სპამინგს, არასასურველი მასობრივი ელფოსტების, ან კომერციული შეტყობინებების გაგზავნას, ან ღია smtp რეტრანსლირების შენარჩუნებას მოიცავს;
- ნებისმიერი გზით, რასაც ქსელზე ან სერვისებზე შეიძლება მავნე ზეგავლენა ჰქონდეს;

2.4.5. თქვენ არ შეგიძლიათ, რომელიმე მესამე მხარეს სიმ-ბარათის, ქსელის, პროდუქტებისა და სერვისების და მათი რომელიმე კომპონენტის სტანდარტული ან მუშაობის ტესტირების შედეგები გაუმხილოთ;

2.5. დარღვევების შედეგები

მე-2 პუნქტში მითითებული ვალდებულებებისა და შეზღუდვების ნებისმიერმა დარღვევამ შეიძლება პროდუქტებისა და სერვისების მიწოდების დროებითი შეჩერება გამოიწვიოს. როგორც წესი, kia თავის განზრახვას, პროდუქტებისა და სერვისების მიწოდების შეჩერების, ან შეჩერების ხანგრძლივობის შესახებ წინასწარ გაცნობებთ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაუყოვნებლივ შეჩერება kia-სთვის, პროდუქტებისა და სერვისებისთვის, ქსელის ან სხვა მომხმარებლებისთვის ზიანის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია.

შეჩერების ხანგრძლივობა kia-ს გონივრული და საფუძვლიანი გადაწყვეტილების საფუძველზე, დარღვევის სიმძიმისა და kia-სთვის, პროდუქტებისა და სერვისებისთვის, ქსელის ან სხვა მომხმარებლებისთვის შესაძლო რისკის შესაბამისად განისაზღვრება. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, 6.3 პუნქტის შესაბამისად, kia-ს ხელშეკრულების საპატიო მიზეზით შეწყვეტა შეუძლია.

3. სერვისების ხელმისაწვდომობა

3.1. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, პროდუქტებსა და სერვისებზე წვდომა სრულად ან ნაწილობრივ, დროებით ან მუდმივად გამოვრთოთ, რამდენადაც ეს ყველა მომხმარებლისთვის პროდუქტებისა და სერვისების უსაფრთხოების ან სტაბილურობისთვის, ან პროდუქტებისა და მომსახურების სავალდებულო სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი.

3.2. პროდუქტებისა და სერვისების მიწოდება და გამოყენება, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენი კონტროლის ფარგლებს მიღმა, შეიძლება შეზღუდვებს დაექვემდებაროს. კერძოდ, ეს ეხება ოპერატორების მიერ მოწოდებული მონაცემების შეერთებებზე ხელმისაწვდომობას. ცალკეულ შემთხვევებში, ქსელზე ხელმისაწვდომობის არქონამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქტებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, რადგან მონაცემების აუცილებელი გადაცემა ვერ განხორციელდება.

გარდა ამისა, გამტარუნარიანობის მოკლევადიანი შეფერხებები შეიძლება პროდუქტებსა და სერვისებზე, უსადენო და ფიქსირებულ ქსელებზე და ინტერნეტზე პიკური დატვირთვის გამო წარმოიშვას.

3.3. შეფერხებები ასევე შეიძლება ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად წარმოიშვას, მათ შორის, პანდემიის ან ეპიდემიური დაავადებების, გაფიცვის, ლოკაუტის და ოფიციალური ბრძანებების, ასევე ტექნიკური და სხვა ღონისძიებების შედეგად (მაგ.: რემონტი, ტექნიკური მომსახურება, პროგრამული განახლება და გაფართოება), რომლებიც პროდუქტებისა და სერვისების მუშაობის გასაუმჯობესებლად, ჩვენს სისტემებზე, ან ქვედა, ან ზედა დონის პროვაიდერების, კონტენტ-პროვაიდერების და ქსელის ოპერატორების სისტემებზე აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

3.4. როდესაც პროდუქტებსა და სერვისებზე წვდომა გამორთული, შეზღუდული, ან შეფერხებულია, როგორც აღწერილია მე-3 პუნქტში, ჩვენ შეძლებისდაგვარად, წინასწარ დაგიკავშირდებით, რათა გამორთვის, შეზღუდვის ან შეფერხების მიზეზის შესახებ გაცნობოთ.

4. მონაცემთა დაცვა

4.1. პროდუქტებისა და სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, კონფიდენციალურობის შესახებ Kia Connect-ის შეტყობინება ვებგვერდზე: https://connect.kia.com/eu/downloads იხილოთ.

4.2. მონაცემთა დამუშავების იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც Kia Connect-ის კონფიდენციალურობის შეტყობინებაშია აღწერილი და იმ ფაქტის შესახებ, რომ პროდუქტები და სერვისები მდებარეობის მონაცემების (GPS მონაცემები) შეგროვებას და დამუშავებას მოითხოვს, სხვა მომხმარებელს/მძღოლს უნდა აცნობოთ.

5. მონაცემებზე წვდომა და მათი გამოყენება ევროკავშირის მონაცემთა აქტის შესაბამისად

იხილეთ kia connect აპის გამოყენების პირობების 12 სექცია რომელიც ეხება თქვენს, როგორც მომხმარებლის, უფლებებს ევროკავშირის მონაცემთა აქტის შესაბამისად.

6. ვადა, შეწყვეტა

6.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის თქვენ მიერ მთავარ მოწყობილობაში მისი მიღების მომენტიდან. ხელშეკრულების მოქმედების ვადა იწურება უფასო მომსახურების პერიოდის დასრულებისთანავე, თუ იგი უფრო ადრე არ შეწყდება 6 პუნქტის შესაბამისად.

6.2. ხელშეკრულება პროდუქტებისა და სერვისების მიწოდების შესახებ და შესაბამისად, პროდუქტებითა და სერვისებით სარგებლობის უფლება რომელიმე მხარის მიერ, ერთი თვით ადრე შეტყობინების საფუძველზე, კალენდარული კვარტლის ბოლომდე, შეიძლება ნებისმიერ დროს შეწყდეს.

6.3. მხარის უფლება, ხელშეკრულება საპატიო მიზეზით შეწყვიტოს, უცვლელი რჩება. მე-2 პუნქტის აუცილებელი წინაპირობების შესაბამისად, Kia-ს მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის საპატიო მიზეზად, მომხმარებლის მიერ ვალდებულებების განმეორებით დარღვევა ითვლება.

6.4. გარდა ამისა, ავტომობილის ყიდვის ხელშეკრულების გაუქმების, შესაბამისი დილერის მიერ ავტომობილის ხელახალი შეძენის, ან სხვაგვარად ამოღების, ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის, ავტომობილის მესამე მხარეზე გაყიდვის, ასევე, ქურდობის ან სრული დაზიანების შემთხვევაში, რომელიც არ ექვემდებარება შეკეთებას, თითოეულ მხარეს უფლება აქვს, შესაბამის ავტომობილთან დაკავშირებით, პროდუქტები და სერვისები შეწყვიტოს.

6.5. იმ შემთხვევებში, როდესაც ფასიან პროდუქტებს/სერვისებს კონკრეტული დროის განმავლობაში უფასოდ გთავაზობთ („უფასო პერიოდი“), თქვენ შეგიძლიათ, უფასო პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ დროს, შეტყობინების გარეშე, უარი თქვათ მათზე, ან ჩვენ შეგვიძლია, ნებისმიერ დროს, ჩვენი შეხედულებისამებრ, შევწყვიტოთ უფასო პერიოდის შეთავაზება. ამ მომენტიდან თქვენ აღარ გექნებათ კონტენტზე წვდომა. უფასო შეთავაზებიდან ფასიან გამოწერაზე გადასვლის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს შეწყვიტოთ მისი მიღება თავდაპირველად არჩეული ვადის ამოწურვის მომენტიდან, 6.1 პუნქტის შესაბამისად. თუ თქვენი გამოწერა უვადოდ გაგრძელდება, მის შეწყვეტას ნებისმიერ დროს შეძლებთ ერთი თვით ადრე გაკეთებული შეტყობინების საფუძველზე.

6.6. ნებისმიერი მხარის მიერ, შეწყვეტის კანონიერი უფლება უცვლელი რჩება.

7. ცვლილებები პროდუქტებსა და სერვისებში; ცვლილებები გამოყენების პირობებში

7.1. ცვლილებები პროდუქტებსა და სერვისებში

kia უფლებას იტოვებს, სერვისებში გონივრული ცვლილებები შეიტანოს. კერძოდ, ჩვენ დროდადრო კანონით მოთხოვნილ განახლებებს ვახორციელებთ. ეს მოიცავს ცვლილებებს, რომლებიც ჩვენი სერვისების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობას უზრუნველყოფს. ჩვენ ასევე შეგვიძლია, სერვისებში განახლებები უსაფრთხოების მიზეზებით და მათი ხარისხის მოსალოდნელ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განვახორციელოთ (მაგ.: რომლებიც აღწერილია მე-11 პუნქტში, კანონით გათვალისწინებული გარანტიების შესახებ).

გარდა ამისა, სერვისებში ცვლილებების შეტანა, შემდეგი დამატებითი მიზეზების გამო შეგვიძლია:

– ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტირება;
– სერვისების მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის, ან შემცირების გათვალისწინება;
– ლიცენზიებთან ან მესამე მხარეების პარტნიორობასთან დაკავშირებით ცვლილებებთან ადაპტირება; და
– ბოროტად გამოყენების ან ზიანის თავიდან აცილება.

7.2. ცვლილებები გამოყენების პირობებში

kia გამოყენების ამ პირობებში შეთავაზებულ ცვლილებებს, kia connect-ის აპლიკაციაში და/ან ავტომობილის მთავარ მოწყობილობაში ჩვენებით, გამოყენების ახალი პირობების ძალაში შესვლამდე არაუგვიანეს ორი თვისა წარმოგიდგენთ. გამოყენების განახლებული პირობები ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ kia connect-ის აპლიკაციაში, ან მთავარ მოწყობილობაში „თანხმობის“ ღილაკზე დაჭერით დაეთანხმებით.

თუ გამოყენების შეთავაზებულ პირობებს არ დაეთანხმებით, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, თქვენთან ხელშეკრულება, 6 კვირით ადრე შეტყობინების გაგზავნით, კალენდარული კვარტლის ბოლომდე შევწყვიტოთ.

8. სხვადასხვა

8.1. Kia-ს და თქვენ შორის ყველა ხელშეკრულება ადგილობრივ ენაზე იდება. შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ხელშეკრულების ტექსტი შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ბმულიდან https://connect.kia.com/eu/downloads.

8.2. გამოყენების ეს პირობები წარმოადგენს მხარეთა სრულ შეთანხმებას სერვისების გამოყენების საგანთან და შინაარსთან დაკავშირებით და ყველა წინა შეთანხმებას, წერილობითს ან ზეპირს ანაცვლებს.

8.3. სერვისების გამოყენებას მომხმარებლის განსხვავებული, საპირისპირო, ან დამატებითი წესები და პირობები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაარეგულირებს, თუ ჩვენ მიერ მკაფიოდ, წერილობით იქნება მიღებული.

8.4. მოხმარების პირობებში ნებისმიერი შესწორება და დამატება, ასევე შეტყობინებები, რომლებიც მათ შესასრულებლად არის საჭირო, წერილობითი ფორმით უნდა შესრულდეს (მათ შორის, ელ-ფოსტით, ფაქსით, ან მთავარ მოწყობილობაში დადასტურებით). წერილობითი ფორმის შესახებ ეს მოთხოვნა, მხოლოდ წერილობით შეიძლება გაუქმდეს.

8.5. ჩვენ უფლება გვაქვს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვენი უფლებები და მოვალეობები, სერვისის სხვა მიმწოდებელს, სრულად ან ნაწილობრივ გადავცეთ, იმ პირობით, თუ ამას 6 კვირით ადრე შეგატყობინებთ. ამ შემთხვევაში, უფლება გაქვთ, ხელშეკრულება წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში შეწყვიტოთ, რაც ძალაში ხელშეკრულების იმ სხვა კომპანიაზე დაგეგმილი გადაცემის მომენტიდან შევა, რომელიც Kia-ს ჩაანაცვლებს. შეწყვეტის ამ უფლების შესახებ, წერილობით შეგატყობინებთ.

ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ეს უფლება, გამოყენების პირობების შეწყვეტაზე თქვენს უფლებას და 1.2 პუნქტში მითითებული პირობების შესაბამისად, სერვისების ნებისმიერ დროს გამოყენების შესახებ უფლებას არ აკნინებს.

9. საკონტაქტო ინფორმაცია/საჩივრები

9.1. Kia Connect GmbH-სთან კონტაქტი

თუ გაქვთ შეკითხვა გამოყენების ამ პირობების ან სერვისების შესახებ, დაგვიკავშირდით მისამართზე:

kia connect gmbh
ელ-ფოსტა: info@kia-connect.eu

9.2. მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახურთან კონტაქტი

მომხმარებლის მხარდაჭერისთვის გთხოვთ, გამოიყენოთ საკონტაქტო ფორმა:
https://connect.kia.com/eu/customer-support/contact-form/

9.3. მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული შეკითხვები

მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული შეკითხვებისთვის, ასევე შეგროვებული და დამუშავებული

პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცის მისაღებად იხილეთ kia connect-ის შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ, რომელიც შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ვებ-გვერდიდან https://connect.kia.com/eu/downloads.

9.4. დავის გადაწყვეტა

kia არ არის ვალდებული და არ მონაწილეობს დავების ალტერნატიული მოგვარების პროცესებში მომხმარებელთა დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ორგანოს წინაშე.

10. ინსტრუქციები სერვისებთან და განახლებების შეძენასთან დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ

თუ თქვენ მომხმარებელი (ე.ი. ფიზიკური პირი, რომელიც შეკვეთას იმ მიზნით ასრულებთ, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს თქვენს კომერციულ ან ინდივიდუალურ სამეწარმეო პროფესიულ საქმიანობას) ხართ, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშრებით არსებული კანონმდებლობითი დებულებების შესაბამისად, რომელიც მომსახურების გაწევის და განახლებების შესყიდვის შესახებ შეთანხმებას ეხება, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება გაქვთ (იხილეთ მე-4 პუნქტი).

10.1. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება

თქვენ უფლება გაქვთ, ამ ხელშეკრულებაზე უარი 14 დღის განმავლობაში, ყოველგვარი მიზეზის მითითების გარეშე თქვათ.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა, ხელშეკრულების დადებიდან 14 დღის შემდეგ ამოიწურება.

თქვენი გადაწყვეტილების შესახებ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების თაობაზე უნდა შეგვატყობინოთ (kia connect gmbh, theodor-heuss-allee 11, 60486 frankfurt am main, germany, ტელეფონის ნომერი: +49 800 7773044 და ელფოსტის მისამართი: info@kia-connect.eu) და მოგვმართოთ მკაფიო და ცალსახა განცხადებით (მაგ.: ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილი).

თქვენ შეგიძლიათ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის თანდართული ნიმუში გამოიყენოთ, თუმცა ეს სავალდებულო არ არის. თქვენ ასევე შეგიძლიათ, უარის თქმის ფორმის ნიმუში ან სხვა მკაფიო და ცალსახა განცხადება ელექტრონულად, ჩვენი ვებგვერდის მისამართზე https://connect.kia.com/eu/customer-support/contact-form შეავსოთ და წარადგინოთ. თუ ამ ვარიანტს გამოიყენებთ, უარის თქმის შესახებ განცხადების მიღებას, ინფორმაციის გადაცემის საიმედო მატარებლის საშუალებით (მაგ.: ელ-ფოსტით), დაუყოვნებლივ დაგიდასტურებთ .

ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დასრულებამდე, საკმარისია შესაბამისი ვადის ამოწურვამდე, უარის თქმის შესახებ უფლების გამოყენების თაობაზე შეტყობინება გაგზავნოთ.

10.2. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები

თუ ამ ხელშეკრულებაზე უარს იტყვით, თქვენგან მიღებულ ყველა გადახდილ თანხას, მიწოდების ხარჯების ჩათვლით (გარდა იმ დამატებითი ხარჯებისა, რომლებიც თქვენ მიერ არჩეული მომსახურებით წარმოიშვა, ჩვენგან შეთავაზებული სტანდარტული მიწოდების ყველაზე დაბალი ღირებულების სერვისის გარდა), დაყოვნებლივ და ნებისმიერ შემთხვევაში აგინაზღაურებთ, არაუგვიანეს 14 დღის ვადისა იმ დღიდან, როდესაც ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ გვაცნობეთ.

თუ სხვაგვარად არ იქნებით შეთანხმებული, ჩვენ თანხას გადახდის იმავე საშუალებით აგინაზღაურებთ, რომელიც თქვენ თავდაპირველი ტრანზაქციისთვის გამოიყენეთ; ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ანაზღაურების შედეგად, თქვენ რაიმე გადასახადი არ დაგეკისრებათ.

10.3. მნიშვნელოვანი შენიშვნა: ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ვადის ამოწურვა

ციფრული კონტენტის მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც მატერიალური ფორმით არ მიეწოდება, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა შემდეგი პირობებით ამოიწურება:

10.3.1. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება რაიმე საფასურის გადახდას არ გავალდებულებთ, ხოლო Kia-მ ხელშეკრულების პირობების შესრულება დაიწყო;

10.3.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება საფასურის გადახდას გავალდებულებთ, ხოლო

1. kia-მ ხელშეკრულების პირობების შესრულება დაიწყო,
2. თქვენ გამოთქვით წინასწარი მკაფიო თანხმობა, რომ kia ხელშეკრულების პირობების შესრულებას, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ვადის ამოწურვამდე დაიწყებს,
3. თქვენ აღიარეთ, რომ (b) პუნქტის შესაბამისად გამოთქმული თანხმობის საფუძველზე, ხელშეკრულების პირობების შესრულების დაწყებასთან ერთად, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას კარგავთ; და
4. kia-მ წარმოგიდგინათ დასტური გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 312f პუნქტის შესაბამისად (bürgerliches gesetzbuch, "bgb").

10.4. ხელშეკრულებიდან გასვლის ნიმუშის ფორმა

ხელშეკრულებიდან გასვლის ნიმუშის ფორმა

(ეს ფორმა შეავსეთ და დააბრუნეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებიდან გასვლა გსურთ)

– მისამართზე: kia connect gmbh, theodor-heuss-allee 11, 60486 frankfurt am main, germany, ელფოსტის მისამართი: info@kia-connect.eu:
– მე/ჩვენ (*) გაცნობებთ, რომ მე/ჩვენ (*) უარს ვამბობ(თ) ჩემს/ჩვენს (*) ხელშეკრულებაზე შემდეგი სერვისის მიწოდებისთვის (*),
– შეკვეთის თარიღი (*) / მიღების თარიღი (*),
– მომხმარებლ(ებ)ის სახელი,
– მომხმარებლ(ებ)ის მისამართი,
– მომხმარებლ(ებ)ის ხელმოწერა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფორმა ქაღალდზეა წარმოდგენილი),
– თარიღი

(*) წაშალეთ საჭიროებისამებრ.

11. კანონით დადგენილი ვალდებულება დეფექტებზე

თუ მომხმარებელი ხართ, საქონლის ან ციფრული პროდუქტების დეფექტებზე პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, კანონით გათვალისწინებული უფლებები გაქვთ, ასევე ნებისმიერი დამატებითი უფლებები, რომლებიც გამოყენების ამ პირობებშია განსაზღვრული.

დეფექტების გამოსწორებაზე კანონით გათვალისწინებული უფლებები, ძალას შესაბამისი ციფრული პროდუქტის მიწოდებიდან ორი წლის შემდეგ კარგავს; უწყვეტი მიწოდების შემთხვევაში, მოთხოვნების ვადა, მიწოდების პერიოდის დასრულებიდან 12 თვის გასვლამდე არ ამოიწურება.

12. პასუხისმგებლობა

12.1. კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად, Kia-ს, მისი კანონიერი წარმომადგენლის, ხელმძღვანელი პირების, ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის მხრიდან, განზრახ ან უხეში დაუდევრობისთვის, Kia-ს პასუხისმგებლობა ეკისრება. იგივე წესი ვრცელდება გარანტიის დარღვევის (მაგ.: გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 444-ე ან 639-ე პუნქტების შესაბამისად (Bürgerliches Gesetzbuch, “BGB”), ან სხვა მკაცრი პასუხისმგებლობა, ასევე პრეტენზიები პროდუქტზე პასუხისმგებლობის შესახებ კანონის (Produkthaftungsgesetz) შესაბამისად, ან სიცოცხლის, სხეულის, ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში.

12.2. მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, თუკი არ ვრცელდება 12.1 პუნქტი, Kia-ს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არსებითი დარღვევებისთვის, ანუ ისეთი ვალდებულებებისთვის, რომლებიც, პირველ რიგში, ხელშეკრულების სათანადო შესრულებას უზრუნველყოფს და რომელსაც მომხმარებელი ეყრდნობა, ან რომელთა შეუსრულებლობა საფრთხეს უქმნის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის მიღწევას. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა განისაზღვრება სავარაუდო ზიანის ოდენობით, რომლის წარმოშობაც Kia-ს ხელშეკრულების დადების მომენტში, იმ დროისთვის არსებული, ან ცნობილი გარემოებების საფუძველზე უნდა ევარაუდა.

12.3. თქვენ ვალდებული ხართ, ზიანის თავიდან აცილების და მინიმუმამდე შემცირებისთვის, გონივრული ზომები მიიღოთ.

12.4. Kia პასუხისმგებელი არ არის კამერის / სახიფათო ზონის გაფრთხილების ნიშნების გამოყენებაზე, რომელიც გერმანიის საგზაო მოძრაობის აქტის ("StVO") 23 პუნქტის 1c პარაგრაფით აკრძალულია.

12.5. TomTom Global Content B.V. არ არის პასუხისმგებელი კამერის / სახიფათო ზონის გაფრთხილების ნიშნების გამოყენებაზე, რომელიც StVO 23 პუნქტის 1c პარაგრაფით აკრძალულია.

12.6. HERE Europe B.V. პასუხისმგებელი არ არის კამერის / სახიფათო ზონის გაფრთხილების ნიშნების გამოყენებაზე, რომლებიც StVO 23 პუნქტის 1c პარაგრაფით არის აკრძალული.

13. გამოყენების ეს პირობები შეიძლება თქვენი საცხოვრებელი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შეიცვალოს. შესაძლო ცვლილებების შესახებ დეტალებისთვის გთხოვთ, მითითებულ ბმულს ეწვიოთ.

დამატებითი ინფორმაცია და ცვლილებები, რომლებიც თქვენი საცხოვრებელი ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობით არის მოთხოვნილი, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: link.